*საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განაცხადების მიღება*

**პროგრამის სახელწოდება:** „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“
**პროგრამის N:** 19.2204.6-004.00

**მომსახურების შესრულების ვადა:** 13.07.2020 – 15.10.2020

**კვლევა 11 შერჩეულ მუნიციპალიტეტში კორონავირუსის პერიოდში და პოსტკრიზისულ პერიოდში სოციალური მომსახურებისა და დახმარების პროცესის შესწავლა და ხარვეზების გამოვლენა და სამართლებრივი თუ სისტემური რეკომენდაციების შემუშავება**

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ადგილობრივ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

**სამუშაო აღწერილობა:**

**ზოგადი ინფორმაცია**

მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან ახალმა ინფექციამ კორონა ვირუსის სახელით (COVID-19) მსოფლიო პანდემია გამოიწვია. საქართველოშიც შესაბამისად მრავალმა სირთულემ იჩინა თავი, რომელიც ქვეყანას არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებდა. მკაცრი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რითაც შეიზღუდა არაერთი ეკონომიკური თუ სხვა სახის საქმიანობა. ბევრი ადამიანი დარჩა შემოსავლისა და სამსახურის გარეშე, რამაც სხვადასხვა სახის საჭიროება და პრობლემა წარმოშვა. სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს სოციალური დახმარების დამატებითი საჭიროებები გაუჩნდა. ცენტრალურ თუ ადგილობრივ სტრუქტურებს კრიზისი გამკლავებისა და პოსტკრიზისული შედეგების აღმოფხვრისთვის მჭიდრო კოორდინაცია და ერთიანი მიდგომებით მუშაობა ესაჭიროებოდათ. სახელმწიფოს ცენტრალურ თუ ადგილობრივ ორგანოებს მოუწიათ დისტანციური სამუშაოზე გადასვლა, რაც საქმისწარმოებისა თუ სერვისების უხარვეზოდ ელექტრონულად მუშაობას მოითხოვდა.

საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 23 მარტს მიღებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ N181-ე დადგენილების შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის ვადით მთელი რიგი შეზღუდვები დაწესდა გადაადგილების, ტრანსპორტის, ეკონომიკური საქმიანობის, საგანმანათლებლო პროცესის, კულტურული, სპორტული და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით. კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით საკონტროლო პუნქტები მოეწყო ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის,

ქ. რუსთავის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის, ქ. გორის, ქ. ახალციხისა და ქ. თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებთან, რომელსაც შემდგომ სხვა ადმინისტრაციული ერთეულებიც დაემატა. შესაბამისად, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობაც ინტენსიურად ჩაერთო პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება დაევალათ მათ, რაც საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას გულისხმობდა.

ვირუსის გავრცელების აქტიურ პერიოდში უამრავ ადამიანს სხვადასხვა გადაუდებელი აუცილებლობა გამოუვლინდა, რომლის დაკმაყოფილებაც თვითმმართველობას მისი ძალების თუ მოხალისეთა ჯგუფების და სხვა შემომწირველების საშუალებით მოუწიათ. 24 აპრილს პრემიერ მინისტრის მიერ წარდგენილ იქნა ანტიკრიზისული გეგმა, რომლის თანახმადაც განისაზღვრა სოციალური დახმარების პაკეტი.

აღნიშნული კრიზისული გეგმა უნდა განხორციელებულიყო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით.

**საკონსულტაციო მომსახურების მიზანი**

მომსახურების მიზანს წარმოადგენს კვლევის განხორციელება, რომლის საფუძველზეც შესწავლილ იქნება შერჩეულ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები, არსებულ მონაცემთა ბაზებში დაცული მონაცემების ადმინისტრირების პრაქტიკა და მათი განახლების პროცესი, მუნიციპალიტეტების საქმიანობა სოციალური მომსახურების გაწევის კუთხით პანდემიისა და პოსტკრიზისულ გარემოში, კრიზისის გეგმით გათვალისწინებული სოციალური დახმარების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხები. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოვლინდება ამ სფეროში სამომავლო საკონსულტაციო საქმიანობების საჭიროებები, რომლის მიზანიც იქნება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებების გამოვლენის გაუმჯობესება, მონაცემთა ბაზების დახვეწა, სოციალური მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კერძოდ:

- საკონსულტაციო მომსახურების მიზანია შერჩეულ 11 მუნიციპალიტეტში კორონავირუსით გამოწვეული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის სოციალურ საჭიროებებზე რეაგირებისა და მათი მიწოდების პროცესის შესწავლა
- ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სოციალური დახმარების პროცესის მონიტორინგი, კერძოდ მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის ინფორმირებისა და სოციალური დახმარების პროცესის ხელშეწყობა და პრეტენზიების/საჩივრების წარდგენის შესაძლებლობის შესწავლა
- ზემოხსენებული საკითხების ანალიზის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის, მონაცემთა ბაზების, მუნიციპალიტეტების მიერ მათი ადმინისტრირებისა და მოქალაქეთა გასაჩივრების მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

**საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები**

საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, მომსახურების გამწევი ვალდებულია განახორციელოს:

შერჩეულ 11 მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ჯგუფებისთვის კორონავირუსით გამოწვეული სოციალური დახმარებების საჭიროებების გამოვლენისა და მართვის პროცესის შესწავლა.

საქართველოს მთავრობის მიერ 24 აპრილს შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სოციალური დახმარების მიმდინარეობის და შედეგების მონიტორინგი, კერძოდ თვითმმართველობის მიერ აღნიშნულ პროცესში ჩართულობის კუთხით.

აღნიშნული საკითხების შესწავლის საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება, რაც გულისხმობს შემდეგი კონკრეტული ამოცანების შესრულებას:

1. მუნიციპალიტეტების შერჩევის მიზნით კრიტერიუმების შემუშავება და კრიტერიუმების საფუძველზე საკვლევი მუნიციპალიტეტების შერჩევა. ამასთან, შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები: ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონიდან წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ ერთი მუნიციპალიტეტი. საერთო ჯამში შერჩეული მუნიციპალიტეტებს შორის უნდა იყოს სულ მცირე ორი მუნიციპალიტეტი, რომელიც კრიზისის ფარგლებში გამოცხადდა კარანტინის ზონად. კვლევა უნდა მოიცავდეს თბილისსაც.

2. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;

3. არსებული სიტუაციის შესახებ კვლევა უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

   - **კორონავირუსის პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდში სოციალური დახმარება**
     - ✓ რა მონაცემთა ბაზები არსებობს მუნიციპალიტეტებში მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დასადგენად
     - ✓ რა პერიოდულობით და კრიტერიუმებით ხდება მონაცემთა ბაზების განახლება და მათი ურთიერთკავშირი ცენტრალურ მონაცემთა ბაზებთან
     - ✓ რა კრიტერიუმებით განხორციელდა მოწყვლადი ჯგუფებისთვის დიფერენცირებული სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფა
     - ✓ მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების უზრუნველყოფა განხორციელდა საკუთარი რესურსებით (ფინანსური, ადამიანური) თუ მოზიდული დამხმარე რესურსებით
     - ✓ ითანამშრომლებს თუ არა მუნიციპალიტეტებმა მოხალისე ჯგუფებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძოდ რა ფორმით
     - ✓ რა ფორმით და საშუალებებით ხდებოდა მოწყვლადი ჯგუფებისთვის ინფორმირება სოციალური დახმარების მიღების თაობაზე

- ✓ ჰქონდათ თუ არა მოქალაქეებს შესაძლებლობა მიემართათ მუნიციპალიტეტებისთვის კორონავირუსით გამოწვეული სოციალური დახმარების მისაღებად და რა გზებით
- ✓ უზრუნველყოფდა თუ არა მუნიციპალიტეტი მოსახლეობის ინფორმირებას კორონავირუსის მიმდინარეობისას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი სოციალური დახმარების მიღების შესახებ
- ✓ ჰქონდათ თუ არა მოწყვლად ჯგუფებს თანაბარი შესაძლებლობა ესარგებლათ და მიეღოთ სოციალური დახმარება
- ✓ გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

- **24 აპრილის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სოციალური დახმარების განხორციელების პროცესის მონიტორინგი, კერძოდ:**
  - ✓ ასახავდა თუ არა მონაცემთა ბაზა შერჩეული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის ყველა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებას
  - ✓ ისარგებლა თუ არა შერჩეული მუნიციპალიტეტის მოწყვლადმა ჯგუფებმა ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სოციალური დახმარებით
  - ✓ ხდებოდა თუ არა შერჩეული მუნიციპალიტეტების მიერ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესახებ მონაცემთა ბაზის განახლება
  - ✓ აწვდიდა თუ არა შერჩეული მუნიციპალიტეტი სოციალური საჭიროებების შესახებ განახლებულ მონაცემებს შესაბამის უწყებებს
  - ✓ ჰქონდათ თუ არა შესაძლებლობა სხვადასხვა მოწყვლად პირებს სოციალური დახმარების მიღებაზე უარის შემთხვევაში ესარგებლათ იურიდიული კონსულტაციით და მიეღოთ უფასო იურიდიული დახმარება და რა ფორმით და საშუალებით
  - ✓ ხორციელდებოდა თუ არა მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინაცია
  - ✓ რა ხარვეზები და პრობლემები შეექმნა მუნიციპალიტეტებს ამ პროცესში
  - ✓ გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

4. კვლევის ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები, რომელიც უნდა მოიცავდეს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გამოვლენისა და მონაცემთა ბაზის სრულყოფის საკითხებს, მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური საჭიროებების განსაზღვრისა და მართვის გაუმჯობესების წინადადებებს, სოციალური მომსახურების სფეროში ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზებს, ადმინისტრირების კუთხით ბიუროკრატიულ თუ ორგანიზაციული სირთულეების გადაჭრის მექანიზმებს.

5. მომსახურების გამწევემა უნდა უზრუნველყოს რეკომენდაციების განხილვა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, მუნიციპალიტეტებთან , GIZ-სა და სხვა მნიშვნელოვან მონაწილეებთან და რეკომენდაციების საბოლოო ვერსიის შემუშავება.

6. მომსახურების გამწევმა უნდა უზრუნველყოს შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარმოდგენა. შუალედური ანგარიშის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს 31.08.2020-მდე, ხოლო საბოლოო ანგარიშის - 30.09.2020-მდე.

7. მომსახურების გამწევმა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უნდა განახორციელოს GIZ-თან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასრტრუქტურის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათთან შეთანხმებით.

**სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი:**

სამუშაოს დაწყება: 13.07. 2020

სამუშაოს დასრულება 15.10.2020

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

**განაცხადების მიღება და შერჩევა**

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის გუნდის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით;
2. წარმოდგენილი ექსპერტების სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება/შესაძლებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მსგავსი კვლევების განხორციელების, სტრატეგიული გეგმებისა და სახელმძღვანელოების შემუშავების მიმართულებით *(შესაბამისი ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს წარმოდგენილი ექსპერტების რეზიუმეებში);*

3. ტექნიკური შემოთავაზების და პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიის ადეკვატურობა და სამუშაო აღწერილობასთან შესაბამისობა;
4. ბიუჯეტის ხარჯთეფექტიანობა.

**მომსახურების ხანგრძლივობა და ბიუჯეტი**

მომსახურების განხორციელების სავარაუდო პერიოდია 13.07.2020 – 15.10.2020.

შერჩეულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, მომსახურების დაფინანსება მოხდება სამ ეტაპად. თავდაპირველად მოხდება ავანსის გაცემა, მეორე გადახდა შუალედური ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, ხოლო საბოლოო გადახდა სამუშაოს საბოლოო შესრულებისა და ჩაბარების შემდეგ.

განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენაზე.

**შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:**

*1. თავფურცელი*

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პროექტის მთლიანი ბიუჯეტი (დღგ-ს გარეშე), ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

*2. პროექტის აღწერა*

*2.1 პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)*

*2.2. პროექტის მიზანი და ამოცანები*

*2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი*

| # | ღონისძიება | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | | | | *[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]* |
| 2 | Y | | | | |
| 3 | Z | | | | |
| ... | … | | | | |

*2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები*

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში. განაცხადს ასევე თან უნდა ერთვოდეს დასახელებული პირების რეზიუმეები.

*2.5. დანართი*

განაცხადს თან უნდა ერთოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

**ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:**

*ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)*

| # | კატეგორია | ერთეული | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ფასი (GEL) | საერთო ღირებულება (GEL) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **შრომის ანაზღაურება** | | | | | |
| 1.1 | | [თვე ან კაც-დღე] | | | | |
| 1.2 | | | | | | |
| 1.3 | | | | | | |
| | … | | | | | |
| | **ჯამი** | | | | | |
| **2** | **სხვა ხარჯი** (საჭიროების შემთხვევაში) | | | | | |
| 2.1 | | | | | | |
| **2.2** | **…** | | | | | |
| | **ჯამი** | | | | | |
| | | | | | | |
| | **სულ ჯამი** | | | | | |

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯები, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები და მისი რაიმე სახის დავალიანების გასტუმრება.